# სახალხო გაზეთი

№ 145 შაბათი, 30 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი ... № 145

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Папалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



დღეს, 30 ოქტომბერს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მედიცინის დოქტორის

**სოლომონ იოსების ძის მრევლიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, თანამსახურთ და ნაცნობთ განსვენებულის დისწულები და ძმისწულები. პანაშვიდის დასაწყისი დღის 12 საათზე. (1—182—1)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 16.

კვირას, 28 ოქტომბერს, 1910 წელს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

I

**„ნ ი ღ ა ბ ი"**

დრამა 1 მოქმედებად რ. ბრაკოსი, თარგმ. ა. სარაჯიშვილისა.

II

**„ეჭვით ავადმყოფი"**

კომედია 3 მოქმ. მოლიერისა, თარგმანი ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ლეჟავა ო., ლოლუა ა., პიერრეტა ა., შოთაძე ა., ჩერქეზიშვილი ე., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: აბაშიძე ვ., გუნია ვ., გვარამძე ნ., ყივიძე ი., ზარდალიშვილი ი., მესხი კ., მდივანი ბ., მატარაძე ვ., მამფორია ი., მალიკაშვილი ვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოება.**

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

**დამსწრეთა საყურადღებოდ:** თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

**მზადდება წარმოსადგენად:** „მირრა ეფროსი", „ქალის ჭკუა" და სხვა.

**რ. ა. პორტუგალოვისა**

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

**დ ი დ ძ ა ლ ი**

**ქალიშვილისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,**

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩაზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—26)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით

**გ ა ი ხ ს ნ ა**

**საბავშო ბაღი**

**ანასტასია კონსტანტინეს ასულის გედევანიშვილისა.**

დაწვრილებით ცნობათა და პირობათა შეტყობა საბავშო ბაღში მიღების შესახებ შეიძლება საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში, დილიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ზუბალაშვილისა, № 8. **მეცადინეობა დაიწყება 8 ნოემბრიდან** (7—185—2)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

ღია არის ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. შ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. პოპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ—ნ.—476)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. შ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირადოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

**ხოზიოლევსკი ზ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სათასოდ. (200—ნ.—313)

**ექიმი** **ვ. ნ. მაგაკიანი** შინაგანი და ბავშვთა სნეულებათა. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზაღ.—67)

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**აზიური ბუფეტი მტკვარზე**

**მ. გ. კირაკოზოვისა**

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ტელ. N 103.

ყოველ-დღე სადილის დროს 2-დან 4 საათამდე და საღამოთი 9-დან ღამის 2 საათამდე უკრავს ახლად მოსული ინტერნაციონალური სიმებიანი ორკესტრი სოლო-კონცერტისტის ა. გ. ეგიაზაროვის ლოტბარობით. (10—163—5)

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

**„ანფისა"**

ფასი 15 ცალი 6 კაპ.

„ 25 „ 10 კაპ.

**„მ ი რ ო ს" ფაბრიკისა.**

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი „ანფისა" შემზადებულია მაღალ ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

**მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხს და გემოვნებას.** (15—150—5)

**მოითხოვეთ ბუნებრივი**

**კახური ღვინოები**

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ.-ს.

**საკუთარ ვენახებიდან.**

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—1)

**კავკასიის ჰაერში მფრენავთა წრე**

ტფილისის დოღის საზოგადოების იპოდრომზე,

**შაბათსა და კვირას 30 და 31 ოქტომბერს გამართავს ფრენას.**

გაფრინდებიან ცნობილი ავიატორები

**ა. ა. ვასილიევი და ვ. ს. კებუროვი,**

თუ უკანასკნელის აპარატს შეაკეთებენ. ფრენის დასაწყისი: შაბათს, დღის 4 საათზე, კვირას დღის 3 ს. ბილეთები წინ და წინ გაიყიდება ა. დ. კუკუჯანოვისა და ა. ლ. ხარიშჩაროვის მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე ძმ. გულასპოვების ფირმის მიმღებისაგან. ცნობებისათვის სთხოვენ მიჰმართონ „ერმიტაჟის" სასტუმროში № 4, რწმუნებულს გენერალოვს. (2—187—1)

**საზამთრო სეზონის გახსნა**

გოლოვინის პროსპ., ცირკის ახალი შენობა.

**დიდი, სატახტო ქალაქ მოსკოვის**

**ცირკი მ. ა. ტრუცისა.**

**დღეს, 30 ოქტომბერს, პირველი**

გალლო-საგასტროლო წარმოდგენა.

დიდი პროგრამა. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. დაწვრილებით აფიშებში. (1—184—1) დირექცია **მ. ა. ტრუცისა.**

**ბაქოს ქართულ სკოლისათვის** საჭიროა მასწავლებელი, რომელსაც შეეძლოს სწავლება, როგორც რუსულს, ისე ქართულ ენაზედ, ყველა საგნებისა. ჯამაგირი თვეში **50 მანეთი.** მასწავლებლობის ცენზი საჭიროა. მსურველთ მიმართონ თხოვნით არა უგვიანეს 10 ნოემბრისა:

Правленію Бакин. отд. Общества грамотности, улица Гоголя, Грузинская школа.

გამგეობის მიერ არჩეულნი კანდიდატები მოვალენი იქნებიან მისცენ რამდენიმე სანიმუშო გაკვეთილები ბაქოს ქართულ სკოლაში. (3—177—2)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ხარაძე**—ბავშვ. შინ, ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ. დღე 1—3 საათ.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგუცკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

**ცნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**ნოკიცვი**— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

**ბატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველ. დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

**მიკირტუმოვი** დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროთერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.

**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათოშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—ნ.—13)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—ნ.—71)

**ექიმი** **ე. ი. მინასიანცი**

ხწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—12)

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—249)

**ექიმი** **ქ. ქუთაისში** **კ. თ. ტყეშელაშვილი**

დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა, სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ.** 9—12 ს. 6—8 საღ., თბილისის ქ., ფირალოვის სახლი. (5—170—6).

**ექიმი** **ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**მასწავლებელი**

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—10)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** **შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** **რ. დ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—22)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

**გადავიდა** იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე, და საღამოს 5—8 საათამდე.


## ტფილისი, 30 ოქტომბერი

**დაგვიანებული დაბეზღება.** დღე ისე არ გაივლის, რომ „ჭეშმარიტ რუსთა" გაზეთმა „გოლოს კავკაზა"-მ ღვარძლით სავსე ინსინუაციები არ გადმოანთხიოს ქართველებზე. როგორც ეტყობა, ამ გაზეთის მესვეურთ გადაუწყვეტიათ იერიში მიტანა ქართველებზე, მათი დამცირება, შეურაცხყოფა მათის ადამიანურ ღირსებისა. ამისათვის ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან; მზად არიან ტყუილებიც კი შეთხზან, ოღონდ კი ქართველები დაამცირონ და მიწასთან გაასწორონ. ჩვენ „გოლოს კავკაზა"-ს ინსინუაციებისა არ გვეშინიან, რადგანაც ტყუილები ტყუილებად დარჩება და, უკეთეს პირობებში, ისევ შემთხზველებს დაუბრუნდებათ. მაგრამ პროვოკაციული ჟინი „გოლოს კავკაზა"-ს ხშირად ისეთს სისაძაგლეს ჩაადენინებს ხოლმე, რომ გაჩუმება შეუძლებელი ხდება.

ეს რამდენიმე დღეა „გოლოს კავკაზა"-ში იბეჭდება წერილები „მიშველეთ". ამ წერილის ავტორმა არც ერთი ჩვენი კულტურული დაწესებულება არ დასტოვა „გაუცოცხავი"; ყველგან სახელმწიფოს წინააღმდეგი ღალატი აღმოაჩინა, ყველგან რუსებისადმი მტრობა და შური, ყველგან დაუჯერებელი ნაციონალიზმი, რომელიც თურმე დიდს საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის მთლიანობისთვის. საცოდავი დამცველები რუსეთის მთლიანობისა! რა ცუდი წარმოდგენა ჰქონიათ რუსეთის სიძლიერეზე, თუ გულწრფელად დარწმუნებულნი არიან, რომ ქართველთა კულტურული დაწესებულებანი რაიმე საფრთხეს წარმოადგენს დიდის რუსეთისათვის! სწორედ სასაცილოა!

ავტორი ზემოთ დასახელებულ წერილისა ჰგოდებს და ჯოჯოხეთის ყველა ძალებს იხმობს ქართველთა კულტურულ დაწესებულებათა გასანიავებლად. არსებითად „გოლოს კავკაზა"-ს არ გამოვეკამათებით, რადგანაც, ჯერ ერთი, ეს ჩვენი ღირსების დამამცირებლად მიგვაჩნია, და მეორეც, მგლის თავზე სახარების კითხვა მოცლილი კაცის საქმეა. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს ტყუილს, რომელიც საზოგადოდ დამახასიათებელია „გოლოს კავკაზა"-ს მწერლების ხასიათისა და სულისკვეთებისა.

ავტორი სათავად-აზნაურო გიმნაზიის ისტორიას მოგვითხრობს, რასაკვირველია თავისებურად, და სხვათა შორის, ამბობს, როდესაც 1907 წელში სათავად-აზნაურო გიმნაზიის ძველ სადგომიდან პოლიცმეისტერს მარტინოვს ყუმბარა ესროლეს, სკოლაში არალეგალური კრება იყო, და სროლის დროსაც შემთხვევით ცხვედაძე მოჰკლესო.

თუ მაშინდელ გაზეთებს გადაათვალიერებთ, ნახავთ, რომ სკოლაში მაშინ მხოლოდ სკოლის გამგე შ. ჩიტაძე და ორიოდე შემთხვევით შესული მასწავლებელი იყო. გიმნაზიაში რომ ყოველთვის არ იყოს ხოლმე ორიოდე მასწავლებელი, შეუძლებელია. რაღაც არა-ლეგალურ კრებაზე ლაპარაკი. ეხლა, რამდენიმე წლის შემდეგ, ძალიან დაგვიანებული დაბეზღებაა და სხვა არაფერი. მაშინ არავინ ცხვედაძეც არ მოუკლავთ. ცხვედაძე ხანში შესული საზოგადო მოღვაწეა, დღეს იგი ისევ ცოცხალია და ჯანმრთელი.

„გოლოს კავკაზა"-ს ავტორი ხელზე იხვევს გიმნაზიაში მომხდარ ამბებს და ჭორებს ჭორებზე აცხობს. ინცინდენტები განა სახაზინო გიმნაზიებში კი ცოტა ხდება? მაგრამ ქართველის ჩვეულებრივი პირ-ღიაობა,—ამ შემთხვევაში კი „გოლოს კავკაზა" მართალია,—ერთი-ათად უფრო ადიდებს ყოველგვარ ინცინდენტებს. ასეთი ინცინდენტები ყველგან არის მოსალოდნელი და ამ შემთხვევაში „მიშველეს" სრულიად უსაფუძვლოდ ქართველები კი არა, კავკასიის ჭეშმარიტი რუსები ჰყვირიან.

„გოლოს კავკაზა" მხოლოდ მტრობასა და სიძულვილსა სთესავს. ქართველთა გარუსებაში და მათ ეროვნულ ცხოვრების განიავებაში მიაჩნია რუსულ ინტერესების სამსახური. მაგრამ „ჭეშმარიტ რუსთა" ორგანოს ავიწყდება, რომ ასეთის წვრილმანის დაბეზღებებითა და რეპრესიებით ვერ მოისპობა ერი, რომელსაც მდიდარი ისტორიული წარსული აქვს და აწმყოც არც ისე დუხჭირი, როგორც ბევრსა ჰგონია.

„გოლოს კავკაზა" თავისი იერიშებით მხოლოდ ატმოსფერასა ჰშხამავს და ქართველებსაც ბოროტების თესლს უნერგავს. თუ ეს არის მიზანი „ჭეშმარიტ რუსებისა",—მაშინ მიზანს მალე მიაღწევენ. ქართველების გადაგვარებას კი თქვენ ვერ მოახერხებთ: იგი სიცოცხლობს და, მტერთა გულის სახეთქად, კიდევ დიდ-ხანს იარსებებს...

**უფლება.** თანამედროვე ბურჟუაზიულ წესწყობილებაში, თუნდაც იგი დემოკრატიული რესპუბლიკა იყოს, სამართლიანობასა და ბედნიერებაზე ლაპარაკი სრულიად მეტია! საფრანგეთმა ბევრი პროგრესიული რეფორმა მოახდინა, ბევრი საყურადღებო კანონი გამოსცა, მიუხედავად ამისა, იგი მაინც თავისუფლად ვერ ვითარდება. ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელსაც დღეს ხელში უპყრია მართვა-გამგეობა, ყოველ შემთხვევითა სარგებლობს, რომ მუშათა მოძრაობამ ძლიერი ხასიათი არ მიიღოს და ამით თანამედროვე ცხოვრების საფუძვლები არ შეარყიოს.

საფრანგეთში ამ მოკლე ხანში ძალიან საყურადღებო ამბები მოხდა. მინისტრ-პრეზიდენტმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, თუ საზოგადოების ინტერესები მოითხოვს, რომ ილლეგალურ საშუალებებსაც მივმართავ წესიერების აღსადგენათაო. მინისტრ-პრეზიდენტი, აღშფოთებული რადიკალების ნდობით, რესპუბლიკის წარმომადგენლების წინაშე საჯაროდ აცხადებს. მე შემიძლიან კონსტიტუცია გადავლახო და ისეთს ზომებს მივმართო, რომელნიც ლეგალურ ნორმებით არ არის განსაზღვრულიო. თქმა არ უნდა, ბრიანს შესაფერი არგუმენტებიც მოჰყავდა: სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს ამასაო. ბრიანმა ძალიან კარგად იცოდა, რასაც ამბობდა; ეს უკაზმავად და მოუფიქრებლად წამოსროლილი ფრაზა არ იყო. „ეხლა ისეთს რამეს გეტყვით, რომ ზეზე წამოიჭრებითო", განაცხადა ბრიანმა და ამით ისიცა სთქვა, რომ წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონდა აზრი და მნიშვნელობა თავის სიტყვებისა. ბრიანი, თქმა არ უნდა, უსიამოვნებას მოელოდა, მაგრამ თუ პროტესტი ასეთს სასტიკს ხასიათს მიიღებდა, ასს კი ვერ იფიქრებდა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სხდომის დარბაზში, ბურბონთა ძველსა და მრავალ ამბების მოწმე სასახლეში, დიდი აურიაქოთი ატეხილა. პიუპიტრების მტვრევა, ყვირილი, ბრიანის ლანძღვა!

ამ პროტესტმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ უფლებრივი შეგნება ძვალსა და რბილში ჰქონია გამჯდარი ევროპიელს. ბურჟუაზია, როგორც ეტყობა, ბევრს რამეს აპატიებს მთავრობის წარმომადგენლებს, მაგრამ უფლებათ კი არავინ შეალახვინებს. პარიზში მომხდარმა ამბებმა ეს ნათლად დაგვიმტკიცა. რა იყო ბრიანის სიტყვა, თუ არა დათრგუნვა იმ მოქალაქობრივ თავისუფლებისა, რომელიც დიდის ტანჯვითა და წვალებით იქმნა მოპო-

ვებული? წინანდელი მინისტრებიც ებრძოდნენ მუშებს, სცდილობდნენ ხელი შეეშალათ მუშათა მოძრაობისთვის, მაგრამ ასე საჯაროდ, ასე მოურიდებლად-კი არც ერთს მინისტრს დემოკრატიულ რესპუბლიკისას, არ გამოუცხადებია თავისი დიქტატორული მისწრაფებანი. ბრიანს, ალბად, დაავიწყდა, რომ საფრანგეთი ჯერ ისევ საუკეთესო მატარებელია დემოკრატიულ პრინციპებისა და ადვილად არ გაათელვინებს ბრძოლით მოპოვებულ უფლებათ.

ძლიერი უფლებრივი შეგნება საფრანგეთის მცხოვრებთა საუკეთესო თავმდებია იმისა, რომ ბრიანისთანა კარიერისტები ჩრდილს ვერ მიაყენებენ საფრანგეთის რესპუბლიკას, რომელიც ამის შემდეგაც საუკეთესო, პროგრესიულ იდეების მატარებლად დარჩება...

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ოქტომბერი.

## საზღვარ-გარედ

**ბერლინი.** ამაპალუში (გონდურასის რესპუბლიკაში) მომხდარ ამბოხების გამო იქ გაიგზავნა სამხედრო გემი „ბრომენი". 26 ოქტომბერს „ბრომენი" ამპალუში მივიდა, სადაც საფრანგეთისა და ჩრდილო-ამერიკის სამხედრო გემები დახვდა. ინგლისის სამხედრო გემიც მიელიან.

**პარიზი** პალატაში რადიკალ-სოციალისტმა პელტანმა განაცხადა, რომ ბრიანსა სურს საზოგადო წარმოებანი სამხედრო უწყებას დაუქვემდებაროსო და ადამიანი სამუშაოზე მიჯაჭვოს, რაც მონობის შემოღებას უდრის. რადიკალთა დროშა მთავრობის რეაქციონერობას ვერ დაჰფარავს, პელტანის აზრით, ფინანსთა მინისტრ კოშერისა და მის ამხანაგ რენუს გადადგომით, შემოსავლის კვალობაზე გადასახადების საკითხი განსაცდელში ჩავარდა. ამის საპასუხოდ ბრიანმა განაცხადა, რომ ამ რეფორმას ბოლომდე გავიყვანო. მორიგ საქმეებზე გადასვლას აპირებდნენ, როდესაც ნაციონალისტმა პოლკოვნიკმა დრიანმა დიდი აურზაური გამოიწვია. იგი ბრალსა სდებდა მინისტრ ლაფერს, მასონთა კონგრესზე ხელი შეუწყო ისეთ რეზოლუციის გამოტანას, სადაც ნათქვამი იყო: ელზას-ლორენის საკითხი გამორკვეულად იცვლებაო. ლაფერმა პირწმინდად უარ ჰყო ეს განცხადება და სთქვა, რომ საფრანგეთის მასონები პატრიოტები არიანო. პალატამ 296 ხმით, 204 წინააღმდეგ მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

**სოფია.** შინაგან საქმეთა მინისტრმა, საპასუხო ადრესზე კამათის დროს, ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი პროპორციულ საარჩევნო სისტემის შემოღების თაობაზე განაცხადა, რომ უხერხულად მიმაჩნიაო. ამასთანავე იგი ოპოზიციას ეთანხმება, რომ პროპორციული წარმომადგენლობა უმცირესობის ინტერესებს იცავს, რის გამოც მე შევუდგები ისეთ სისტემის შემუშავებას, რომელიც ბოლგარიისათვის უფრო შესაფერი იქნებაო.

პალატამ საპასუხო ადრესი მოიწონა.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაცია. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, გარეშე საქმეთა მინისტერმა კლოფაჩმა, ანექსიის საკითხის გამო, ერენტალს მოსთხოვა რუსეთის დამატებითი მონაწერი 30 ივნისს 1908 წ. წარმოგვიდგინეო. ამ მონაწერის შინაარსი მხოლოდ მოკლედ გადასცეს ინგლისის ჟურნალისტ დილლონს, რითაც სურთად რუსეთისათვის ეგრონობინებინათ, რომ მუხანათური უარი სთქვი შენს წინადადებაზეო. აქავე მოხსენებული ავსტრო უნგრეთთან რუსეთის დამოკიდებულების გამწვავების მიზეზები. პროფესორი მასსარიკი, შემოწმებულს საბუთებით, ბრალსა სდებს ბელგრადში მყოფ ავსტრო უნგრეთის მისსიას და ამტკიცებს, რომ მისიის კანცელარიის მდივანმა და მოხელემ ყალბი სერბიული საბუთები შეადგინეს, ზაგრების საქმის გამოო. ერენტალი ამტკიცებს, რომ ავსტრო უნგრეთის ელჩად ბელგრადში ფორგაჩი—„პერსონა-ერატაა", ვინაიდან სერბიასთან კეთილ განწყობილებაშიაო.

**პეკინი** საკონსტიტუციო პალატაში, დეპუტატთა ერთის ჯგუფის მიერ წარდგენილი მოთხოვნილება, რომ დაუყოვნებლივ გაიხსნას პარლამენტიო, უარჰყვეს. თავმჯდომარის თავად პულუნის წინადადებით გადაწყვეტით გამოაცხადეს, რომ პარლამენტის მოწვევის ვადა ოთხის წლით შემოკლდაო. თავადს პულპუნისა და ცზაიცზეს დაევალათ სასწრაფოდ შეიმუშავონ საკონსტიტუციო კანონები. პროვინციის დელეგატები მთავრობის დათმობით არ დაკმაყოფილდნენ და პეკინიდან ფეხს არ იცვლიან.

**ლონდონი.** პრემიერ-მინისტრმა ასკვიტმა, გილდგოლის ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში, უარჰყო ის ხმები, ვითომც ინგლისი სპარსეთის საქმეებში აქტიურ ჩარევას აპირებდეს. ინგლისის მთავრობამ სპარსეთს მხოლოდ წინადადება მისცა, რომ სამხრეთ სპარსეთში ინგლისის ფირმებს სავაჭრო გზა უზრუნველყოთ, ხოლო სპარსეთის მთლიანობასა და დამოუკიდებლობაზე არავითარი მუქარა არ შეუთვლიაო. თუ სპარსეთის მთავრობა მეზობლებთან მორიგდებაო—სთქვა ასკვიტმა—ჩვენს თანაგრძნობასაც დაიმსახურებს; თორემ ისეთ არევ-დარევაში, როგორშიაც ძველის შაჰის განდევნის მერე სპარსეთი იმყოფება, უწესოება გაიზრდება და არამც თუ სპარსეთს, უცხო სახელმწიფოთა ინტერესებსაც საფრთხეს გაუმზადებს. ამ ქვეყანაში, ასეთ პირობების შემყურენი, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, რომ ინგლისის ინტერესების დასაცველად შესაფერი ზომები მივიღოთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ვეცდებით-კი რომ სპარსეთის მთავრობის ინტერესები არ დავარღვიოთო.

**ლისაბონი.** საფრანგეთისა, ესპანიისა, იტალიისა და დიდ ბრიტანიის ელჩებმა გარეშე საქმეთა მინისტრს განუცხადეს, რომ მათ კვლავ დაევალათ თანამდებობის ასრულებას შეუდგნენ და იმედი გამოსთქვეს, რომ მათს სახელმწიფოებსა და პორტუგალიის შუა გულითადი განწყობილება იარსებებს.

**ბერლინი.** გერმანიის ბანკის მეთაურობით ბანკის კონსორციუმმა ოსმალეთს 4 პროც. სესხის, 7 მილიონ ოსმალეთის გირვანქა სტერლინგის განაღდება იკისრა; ამ ვალს 41 წლიწადში ნაწილ-ნაწილ გადაიხადეს ოსმალეთი. სესხის გირაოდ სტამბოლის საბაჟო შემოსავალია. მთელის სესხის მიცემის ვადა 1912 წ. 1 მარტია. ბერლინისა, ფრანკფურტისა, ჰამბურგისა და შტუტგარტის ბანკების გარდა, ამ სესხის მიცემაში ავსტრიისა და უნგრეთის ბანკებიც ღებულობენ მონაწილეობას.

**მადრიდი.** დეპუტატთა პალატა. სოციალ-დემოკრატთა ბელადმა, საბადელში მომხდარ გიფიცვის გამო, სთქვა, რომ მუშები ყურადღებას არ მიაქცევენ მათს წინააღმდეგ მიმართულ კანონებს და აუწერელ სისხლის ღვრას მოახდენენო.

**პარიზი.** ბრიანის ნდობის გამოცხადების დროს 72 რადიკალ-სოციალისტმა თეთრი კენჭი მისცა, 56 კი—შავი; 91 რადიკალმა თეთრა, 9—შავი, 15 მემარჯვენემ თეთრი, 56—შავი. წარსულ კაბინეტში ამყოფმა მილერანმა, რუომ, ვივიანმა, სარროშ და რენომ თავი შეიკავეს.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს მექსიკიდან ატყობინებენ, რომ, ტეხასში ერთის მექსიკანელის ლინჩის წესით გასამართლების გამო, სტუდენტებმა ამერიკელთა საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოახდინეს. ხალხი დაერია ამერიკელებს, ამერიკელთა მაღაზიების შუშები ჩალეწეს, ამერიკული დროშა დაჰფხრიწეს და ფეხქვეშ სთელეს. ტრამვაითჭიმავალი ამერიკელებს ქვები დაუშინეს, ერთი მოწაფე დაიჭრა. პოლიციამ სროლა ასტეხა, სამი დემონსტრანტი მოჰკლეს, ბევრი დაიჭრა, 200 დააპატიმრეს.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაცია. ერენტალმა განაცხადა, რომ ავსტრია მოკავშირეთა წყალობით ჯარსა და სამხედრო გემებს გააძლიერებს და გულდამშვიდებით შეუძლიან მომავალს უცქიროს. ამ ხანად არც ერთი რთული საკითხი არ არის, რომელიც ევროპის მშვიდობიანობას საფრთხეში აგდებდეს, რადგანაც მშვიდობიანობა ყველა სახელმწიფოებს გულწრფელთა სწყურიანთ. ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსიის საქმეში ერენტალი უმთავრეს მნიშვნელობას იმაში ჰხედავს, რომ ავსტრიას სრული თავისუფლება აქვს საყოველშემთხვევო მოსალოდნელობისათვის. ერენტალი ავსტრო-უნგრეთისა და იტალიის კავშირსაც შეეხო და განაცხადა,—რაც დრო გავა, ამ კავშირის სარგებლობა უფრო თვალსაჩინოდ გამოჩნდებაო. ერენტალი დიდის თავგამოდებით აბათილებს ფრანც-იოსებისა და ვილჰელმის წინააღმდეგ რენერის გალაშქრებას. ვილჰელმმა, როგორც ფრანც-იოსების ერთგულმა მეგობარმა, ფრიად სერიოზულ მომენტში მხარი დაუჭირა მასაო. ვილჰელმის პოლიტიკას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—იმპერატორებთან მარადის კეთილგანწყობილებითა და მეგობრობით მშვიდობიანობის საქმეს ემსახუროს. დაბოლოს ერენტალი ცხარედ ილაშქრებს მასარიკის წინააღმდეგ, რომელიც ფორგაჩს ბრალსა სდებდა და ამბობს, რომ ფორგაჩი ერთი დამსახურებული და საუკეთესო დიპლომატთაგანიაო. (ცხარე ტაშის ცემა).

შემდეგი სხდომა ხვალ მოიხდება.

**სტამბოლი.** „ტანინი"ს მიერ გამომჟღავნებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ოსმალეთის სესხში მონაწილეობას იღებს გერმანიისა, ავსტრიისა, უნგრეთისა, ნიდერლანდიისა და შვეიცარიის 32 სინდიკატი, მათ შორის როტშილდის ფირმაც.

**ბერლინი.** ავდრებისა გამო სამხრეთ-გერმანიაში მდინარეები ადიდდა და ნაპირებს წალეკა, რის გამოც მოზელის ვიწრო ლიანდაგზე ბულაისა და ტრირის შუა მიმოსვლა შეჩერდა.

**გენუა.** ქარიშხალის დროს, იალქნებიანი გემი, რომელიც გენუიდან ჩივიტვეკში მიემგზავრებოდა, კლდეებზე მიენარცხა და დაიმსხვრა. გემის უფროსი და სამი მეზღვაური დაიხრჩო.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციაში გერმანელი ნაციონალისტი დობერნიკი სცდილობს დაამტკიცოს, რომ ნეოსლავიზმს პოლიტიკური მიზანი აქვს და ავსტრიაში რუსეთის გავლენის გაძლიერებასა და გერმანელთა გავლენის დასუსტებასა სცდილობსო. ჩეხელი კლერიკალი გირსკი ურჩევს,—რუსეთთან [illegible] კავშირი ვიქონიოთო.

**ლონდონი.** მთავრობის პარტიისა და ოპოზიციის ლიდერთა მოლაპარაკებამ საკონსტიტუციო საკითხის თაობაზე უნაყოფოდ ჩაიარა.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაცია. კრამარჟი ვრცელს სიტყვაში ამტკიცებს, რომ ბოსნიის ანექსია ხელშეკრულების დარღვევააო. საერთაშორისო უფლების მიხედვით, ავსტრო-უნგრეთს ბოსნიის მითვისება არ შეეძლო, როგორც ხანგრძლივ მფლობელობის ძალით, ისე ავსტრიის კერძო უფლებით. ორატორს უკვირს, რომ ერენტალი პირდაპირს პასუხს არ იძლევა ზაგრების საქმის ყალბ საბუთებზე და მოითხოვს, რომ დამნაშავე აღმოაჩინონ. მასსარიკი ორატორის სიტყვას აწყვეტინებს: „დამნაშავე ელჩი ფორმახია". კრამარჟი მიმართავს ერენტალს, რომ ამ საქმეს ნათელი მოჰფინოს, რათა უსიამოვნო მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღოსო.

**სტამბოლი.** გზათა სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი საბერძნეთთან შემაერთებელ რკინის გზის კონცესსიისა, დაწყებული კარაფერიიდან. გზის სიგრძე 150 ვერსი იქნება.

იოვედიდან იუწყებიან, რომ ორი დღის ბრძოლის შემდეგ, დრუზებმა 600 მეომარი დაჰკარგეს და უკან დაიწიეს. ოსმალეთის ჯარმა 200 მეომარი დაჰკარგა.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაციამ ჩვეულებრივი სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა. საგანგებო ხარჯისათვის 180მილიონს სესხად აიღებენ.

**თეირანი.** გავრცელებული ხმები, ვითომც ქირმანში მყოფი რუსეთის საელჩოს გამგე პეტროვი სახლობიანად ყაჩაღებს ტყვედ წაეყვანოთ, სიმართლეს მოკლებულია. პეტროვი გავსინჯანში მშვიდობიანად მივიდა.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** გაზ. „როსსია" სწერს: „პოტსდამში მონარქთა შეხვედრას,—რომლის დროსაც გერმანიის კანცლერმა, გარეშე საქმეთა მდივანმა და რუსეთის გარეშე საქ-

# ბორჯომის ხეობა

**ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა.**

1. ბევრი ჩვენი თანამემამულეთაგანი არ ყოფილა და არ დაუთვალიერებია ბორჯომის ხეობა, ბევრს ჩვენგანს არ უსუნთქავს ამ ხეობის მსუბუქ ჰაერით, არ დამტკბარა მის ბუნების მხატვრულ მშვენებით, ნაძვ-ფიჭვნარით აქებილ მაღალქმთის მწვერვალებით, ვიწრო ღელეებით და ჩანჩქერებით. ბევრს არ უგრძვნია აქ ბუნების სიძლიერე, არ დაჰმოსებია მის ბუნებასა და სინაზეს, ბევრი ჩვენგანი არ მოუცავს რაღაც გამოურკვეველ ტკბილ გრძნობებს, რომელთა გამოწვევა ადამიანში ძალუძს მხოლოდ ბუნების მძლე სილამაზეს. და აქ კი ბუნება როგორი ლამაზი, მხატვრული და თვალწარმტაცია! აქ, ამ ხეობის რომელსამე კორტოხზედ გადმომდგარი, ხან დასცქერი ძირს ხევში მჩქეფარე მთის ნაკადულის მრავალ ჩანჩქერს, ხან გადაჰხედავ შორს ცის მლვრიე, ნაცრის ფერ ბურუსში გახვეულ მთის მაღალ მწვერვალთ, და ჰგრძნობ, რომ ყოველი შენი ძარღვი, ყოველი ძაფი შენის სხეულისა, უფრო გამალებით სცემს, უფრო მეტად ღელდება. აქ პოულობს ახალგაზდა სული თავისუფალ საოცნებო ასპარეზს, აქ ებრძვის ფრთაშესხმული გრძნობა ადამიანისა განსპეტაკებულ გონიერებას, აქ იჩენს თავს მთელის თავის ძალ-ღონით გრძნობა სიყვარულისა სიცოცხლისადმი, აქ ბატონობს ყოვლად მძლე ინსტიქტი მოახლოვებულ ბედნიერებისა, რომელიც მიაქანებს ადამიანს სადღაც შორს, ტკბილ მოგონებათა და ოცნებათა სამფლობელოსკენ. რა არის, რომ ასე ჰხიბლავს ადამიანის თვალს? რა მიზეზია, რომ აქამდის მიყრუებული ბორჯომის ხეობა, ეხლა ასე ახმაურდა და ყველას ყურადღება მიიპყრო? რისგან არის, რომ ამ ბოლო დროს მთელი ეს ხეობა ყოველ ზაფხულობით გაჭედილია უამრავ მოაგარაკეებით, რომელთა უმრავლესობას უცხოელები შეადგენენ? მაგრამ სანამ ამ საკითხებზე მივ ემდეთ პასუხს, საჭიროდ მიგვაჩნია ცოტად თუ ბევრად დაინტერესებულ მკითხველს ჩვენის ქვეყნის ამ პატარა კუთხის მოკლე ისტორიული და ეტნოგრაფიული მიმოხილვა მივაწოდოთ.

2. ბორჯომის ხეობა ჰქვიან საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს სამხრეთით და შეადგენს ჩრდილოეთ საზღვარს უწინდელს მესხეთისას. ძველი მესხეთი განიყოფება რამდენსამე ნაწილად. ესენი არიან: ახალციხე, ჯავახეთი, ერუშეთი, შავშეთი, ქობულეთი, ლივანა, აჭარა და ჭანეთი. ყველა ეს ნაწილნი ერთი-ერთმანეთისაგან ისაზღვრებიან მთებით. თვითოეული მათგანი შეადგენს განცალკევებულ მხარეს და ბუნებრივად ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მე-17 საუკუნებამდე საქართველოს ეს მხარე ჰყვაოდა, ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ მის მთა-ღრეში და ხეობებში მცხოვრებთა რიცხვი, აგრეთვე, სივრცე ამ ქვეყნისა, თითქმის სჭარბობდა მთელ ქართლ-კახეთს. მესხეთი თავის განათლება-განვითარებით, ყოველგვარ დარგის ხელოვნების ცოდნით, მოქალაქობრივ თვითშეგნებით თითქმის მუდამ წინ იდგა საქართველოს სხვა ნაწილებზედ, რადგან იგი ყველაზე უფრო დაახლოვებული იყო მაშინდელ განათლებულ ქვეყნებთან, სახელდობრ: რომთან, საბერძნეთთან და ბიზანტიასთან.

მე-18 საუკუნეში კი ოსმალეთმა აიერთა თავისი დიდის ხნის წადილი და ხელთ იგდო ეს უმშვენიერესი კუთხე ჩვენის ქვეყნისა. და რათა უფრო მჭიდროდ და მტკიცედ შეენახა ყოველი ღონიერება, რომ სამუდამოდ აღმოეფხვრა აქ ქართული ენა, და ქართველებიც მაჰმადის რჯულზე გადაეყენებინა. ოსმალეთის ბატონობამ გასტანა დიდ-ხანს და დიდი დაღიც დაასვა მთელ ამ მხრის სულიერ ცხოვრებას. ქართველებმა დიდი ტანჯვა-წამება განიცადეს, მაგრამ ბოლოს მაინც მიიღეს მაჰმადიანობა, თუმცა ენა, მისი დავიწყება და შეცვლა ვერ შესძლეს ოსმალთ დესპოტებმა და ამიტომ არის, რომ ეხლაც, თითქმის სამის საუკუნის შემდეგ, ქართული ენა და ზოგიერთი ზნე-ჩვეულებანი წმინდად არიან დაცულნი მესხეთის უმეტეს მცხოვრებთა შორის. მე-19 საუკუნის დასაწყისში ისპობა ოსმალეთის ბატონობა მესხეთის ზოგიერთ ნაწილებზე: 1828 წელს რუსეთმა წაართვა ოსმალეთს ჩრდილოეთისაკენ მდებარე მხარეები ამ ქვეყნისა, სახელდობრ: ახალციხე და ჯავახეთი. ჯავახეთის ჩრდილოეთ საზღვარს, რომელიც ჰყოფს მთელ მესხეთს ქართლიდან, შეადგენს თრიალეთის მთები. თრიალეთის მთების დასავლეთ-სამხრეთი ნაწილი კი არის ბორჯომის ხეობა. ბორჯომის ხეობა საზოგადოდ ჰქვიან იმ ვიწრო ხეობიან და მთიან ადგილს, რომელიც მდებარეობს ჯავახეთის, თრიალეთის და სურამის მთებს შუა: იგი იწყება აღმოსავლეთით ტაშის კარიდან და თავდება დასავლეთით დვირით. ეს ვიწრო ხეობა, როგორც საზოგადოდ მთელი მესხეთი, უწინ ეკუთვნოდა ოსმალეთს და ბორჯომის ხეობის მისავალი—ტაშის კარი, ანუ, როგორც ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში გვიხსნის, ქვას კარი ჰქვიან მთებს შუა მოვიწროებულ მტკვრის იმ კლდოვან ნაპირების მიდამოს, რომელსაც ეძახდნენ „კარს", რადგან ეს იყო ერთად-ერთი, და, ამასთანავე ყველაზე ვიწრო, ადგილი ბორჯომის ხეობაში შესასვლელად. აქ, რკინის გზის სადგურ „სუმბათოვის" მოშორებით ეხლაც არის სოფელი „ახალ დაბა", რომელსაც თავის გეოგრაფიაში ვახუშტიც იხსენიებს და უწოდებს „მცირე ქალაქად". აქედან მოყოლებული ხეობა თანდათან უფრო და უფრო ვიწროვდება: აქ მტკვარს უერთდება ორი ხევი: ერთი აღმოსავლეთით თორის მდინარე, (ეხლა ბაკურიანკა), დასავლეთით შავი წყალი, რომელიც გამოდის ბაკურიანისა და კოდიანის მთებიდან. ამ ორ ხევ შუა მდებარე ადგილს უწინ უძახდნენ „სადგურის ხეობას"; ეს „სადგურის ხეობა უნდა იყოს სწორედ ის ხეობა, რომელსაც ახლა ჩვენ ბორჯომის ხეობას ვუწოდებთ. თვით დაბა ბორჯომი თითქოს უნდა დაარსებულიყოს ვახუშტის შემდეგ, რადგან მას თავის გეოგრაფიაში არსად არ აქვს იგი მოხსენებული. მაგრამ, ჩემის აზრით, ბორჯომი უნდა დაარსებულიყოს ოსმალთა მფლობელობის დროს ე. ი. მე-17 საუკუნის დამლევს. ამას თვით სახელის ფილოლოგიური განხილვაც უნდა გვიჩვენებდეს: **ბორჯომი**, უნდა წარმომდგარიყოს ოსმალურ სიტყვიდან, **ბორჯი** ე. ი. ხარჯი. ამ ადგილას ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდა ოსმალთა საზღვარის ბანაკი, სადაც ხარჯს (ბორჯს) ახდევინებდნენ.

2. **ბორჯომის ხეობის აგარაკები.** ვინ არ აქებს ჩვენი ქვეყნის მდიდარ ბუნებას? ვინ არ დაუმონავებია მის დიად სილამაზეს, რომელსაც, ამაყ ბუმბერაზობასთან ერთად, მუდამ თან სდევს ნაზი სიკეკლუცე? ვინ არ დაუტკბია მის თვალ-წარმტაც მშვენიერებას? მის თვალუწვდენელ მთა-კლდეთ, ნაძვ-ფიჭვნარით შეფენილ კორტოხებს, ხელის გულივით სწორე, დაცემულ მობიბინე ველებს, კლდის ნაპრალებიდან გადმოხეთქილ მრავალ ჩანჩქერებს, ხეობებს და სხვათ? თითქმის არსად ჩვენს ქვეყანაში არ მოიპოვება ისეთი კუთხე, რომელსაც არ შეეძლოს აღძრას ადამიანში განუსაზღვრელი სიყვარული ბუნებისადმი, არ განასპეტაკის მისი სულიერი ცხოვრება და სიცოცხლის ხალისს მომატებულმა ჩვენის უკუღმართ ცხოვრებისაგან მუდამ მწარე ვარამით სავსე გულმაც არ გაიხაროს, არ დასტკბეს. მომხიბლავია კახეთი თავის მშვენებით, მდიდარია იგი თავის ბუნებით, ველ-მინდვრებით, მთაგორებით, ვენახ-ბაღებით, წალკოტებით მაგრამ არა ნაკლებ მშვენიერია ბორჯომის ხეობა. მართალია ბორჯომის ხეობა ისე ნაყოფიერი არ არის, როგორც კახეთი, მართალია იგი არ არის გადაპენტილი ვენახ-ბაღებით, თვალუწვდენელ ველ-მინდვრებით, მაგრამ მისი ქალწულებრივი სიკეკლუცე, მისი დიადი ბუმბერაზობა მსწრაფლ ჰხიბლავს ადამიანის თვალს, აძგერებს გულს, და ფართო გზას უხსნის გრძნობის ოლმხვრელ პოეზიას.

გასცდებით თუ არა სად. სუმბათოვს, წამს იგრძნობთ, რომ საკვირველის სისწრაფით იცვლება ბუნება, იგრძნობთ, რომ ჰაერი შესამჩნევად დამჩატდა, თავისუფლად ავსებს და ამოძრავებს გულ-მკერდს და ყოველ შენს ძარღვს ავსებს, ამაგრებს! გიკვირს, როცა ჰგრძნობ, რომ შენი სხეული ასე უცებ რაღაც გამოურკვეველ ძალით იჭურვება, ცული გიჩქროლავს, უმიზეზოდ იღიმები და უფრო ღრმად და ხარბად ისუნთქავ ჰაერს! თითქოს აქამდის მოდღლილი, მისუსტებული გონებაც ფრთებს ისხამს, ძალით იმოსება, სპეტაკდება. ამ წუთს ყოველ ადამიანში ინსტიქტიურად იჩენს თავს მის სულიერ ცხოვრების ინდივიდუალური მხარე: ქნარუმი პოეზიისა ლექსად მიუძღვნის ბუნებას ქებათა-ქებას, მომღერალი აღფრთოვანებული დაჰმღერს ნაზ-მელოდიურ ჰანგებს, მხატვარი ხსოვნაში აღიბეჭდავს რომელსამე მშვენიერ კუთხეს, პესიმისტი ღრმად ამოიოხრებს და გაებმება ფიქრთა მახეში, ოპტიმისტი გაიღიმება და უფრო მეტად შეიყვარებს სიცოცხლეს, რომანტიკოსი დაისახავს თვალ-წინ თავის მომავალ სიყვარულს, ბედნიერებაში ჩაქსოვილ-ჩახლართულს...

გასცდებით ამ მიდამოს და ცოტა ხნის შემდეგ მიადგებით ბორჯომის სადგურს. აქ გადაჯდებით პატარა ვაგონებიან მატარებელში და 56 წუთის შემდეგ შეხვალთ თვით ბორჯომში.

3. **დ. ბორჯომი.** მდებარეობა მიდამოები, მინერალური წყალი, გორონცოვის პარკი და სხვა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი.

ეს ყველასათვის ცნობილი კურორტი, ბუნებას მხრივ ბევრს არას წარმოადგენს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის გარშემო მდებარე მიდამოებს, რომელიც ცოტად თუ ბევრად შეღავათს აძლევს აქაურ მოაგარაკეთ. ერთ-ერთი თავშესაფართაგანი ზაფხულის სიცხეების დროს ამ უკანასკნელთათვის არის ვორონცოვის პარკი, სადაც ყოველ სალამოობით აუარებელი ხალხი იკრებს თავს, დასეირნობს ამ პარკის უზარ-მაზარ ხეივნებში და სტკბება სამხედრო მუსიკით. აქ, ამ პარკის მისავალში ამოსჩქეფს ბორჯო

მეთა სასინისტროს წარმომადგენელმა ითათპირეს,—ნათელჰყო, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად საკითხებში ორივე სახელმწიფოს მხრივ სრული თანახმობაა; რაც შეეხება მეორე ხარისხოვან საკითხებს, გამოირკვა, რომ მათი გამოსწორება შესაძლოა, გულახდილ მოლაპარაკებით.

**ხარბინი**. ჩინეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ხორბლეულის მყიდველზედა და გამყიდველზე, ვაგონებზე და ტვირთის საზიდ ურმებზე ჩინეთის შუამდგომელ ამხანაგობის სასარგებლოდ ერთპროცენტიანი გადასახადი დაწესდეს ქალაქ შუანჩენფუში, რუსეთის მთავარი საელჩო ამ განკარგულების წინააღმდეგია.

**ირკუტსკი**. საჰხედრო სასამართლომ ადგილობრივ სოციალისტ-რევოლუციონერთა საქმე განიხილა და 1 ექვსის წლის კატორღა მიუსაჯა, სამი სამუდამოდ გადაასახლა, დანარჩენები გაამართლა.

**მოსკოვი**. საოლქო სასამართლომ სოკოლოვისა და სემინის საქმის გარჩევა დაიწყო. ამათ მიძინების ტაძრის გაძარცვას აბრალებენ.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო სათაობიროსთან არსებულმა მუშათა საკითხის კომისიამ ნორმალურ დასვენების გამო ვაჭრობაში მომუშავეთათვის დაადგინა, რომ კვირაობით ვაჭრობა ოთხი საათით განისაზღვროს.

სასამართლოს რეფორმათა კომისიამ ნაფიც ვექილთა კონსულტაციის შემოღების პროექტი მოიწონა.

**ფ რ ე ნ ა**

**ბიტერფელდი**. რუსეთისათვის დამზადებული დირიჟაბლი „პარსევალი მე-7“ სანიმუშოდ აფრინდა 8 მგზავრით და 35 წამს ჰაერში დაჰყო. ამ მოკლე ხანში, დირიჟაბლს რკინის გზით რუსეთში გამოგზავნიან.

**ხ ო ლ ე რ ა.**

**ტამბოვი**. ერთის კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 1.

**პეტერბურგი**. ხოლერით ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, ავად არის 65.

**შავი ჭირი**

**ჩიტა**. ერთს კვირაში დაურის სადგურზე შავი ჭირით ავად გახდა 4, ტარბაგატაის მაღაროებში-2, მანჯურიის სადგურზე—34, გარდაიცვალა 25; ამათგან 1 რუსია.

**ოდესა**. სოფ. როკსლიანში შავი ჭირით ორი გახდა ავად.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **სამრეწველო და სატეხნიკო სასწავლებელი**. 27 ოქტომბერს ტფ. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ განიხილა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქმა ფული გადასდოს ტფილისში განზრახულ რვა-კლასიან სამრეწველო და სატეხნიკო სასწავლებლის მოსაწყობად. სკოლა მოსწავლეთ მისცემს საშუალო სასწავლებლის ცოდნასაც. სკოლის შენობა ვარაუდით დაჯდება 220 ათასი მანეთი, თუ მიწას უფასოდ იშოვნიან, სკოლის მოწყობილების შეძენა——32.000 მან., ყოველწლიური ხარჯი სკოლის შესანახად ნაანგარიშევია 44.600 მან. სასწავლებელთა გამგე კომისიამ დაადგინა, იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ მან ნავთლუღში სკოლას უფასოდ დაუთმოს ორი დესეტინა ქალაქის მიწა და ამას გარდა 10.000 მანეთი გადასდოს სკოლის მოსაწყობად.

✦ **თავად აზნაურთა შორის**. ტფ. თავად აზნაურთა ჯგუფმა, რიცხვით 50 კაცამდე, გუშინ სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში განცხადება წარადგინეს. თხოულობენ, რომ დეპუტატთა საკრებულომ მოკლე ხანში მოიწვიოს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება და გააცნოს, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე.

✦ **ნორმალური დასვენება**. ქალაქის საგანგებო კომისიამ უკვე დაასრულა ტფ. ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების წესთა პროექტის განხილვა და მცირე ცვლილებანი შეიტანა პროექტში. ეს პროექტი მოკლე ხანში ქალაქის საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად.

✦ **ტფ. ქალაქის პედაგოგიური მუზეუმი**. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ დაადგინა, ტფილისში დაარსოს ქალაქის პედაგოგიური მუზეუმი, რომლის მოწყობის პროექტის შედგენა უკვე დაევალა საგანგებო კომისიას.

✦ **საკანონმდებლო პროექტები კავკასიისათვის**. მოკლე ხანში პეტერბურგის უმაღლეს სფერებში განიხილავენ კავკასიის ნამესტნიკის მიერ წარდგენილ საკანონმდებლო პროექტებს, რომელიც კავკასიას შეეხება. ამ პროექტების განხილვას დაესწრება ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი პეტერსონი, რომელიც უკვე პეტერბურგშია.

✦ **ტელეფონი ტფილისსა და ბაქოს შუა**. ტფ. ბირჟის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების წინაშე, რომ ტფილისი ბაქოსთან ტელეფონით შეაერთოს.

✦ **პროფესორ ხახანაშვილის თხზულება**. პროფესსორს ა. ხახანაშვილს უკვე დაუსრულებია თავის თხზულება ქართულად „ქართულ ლიტერატურის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში“. პროფ. ხახანაშვილმა ეს თხზულება უსასყიდლოდ საკუთრებად მისცა წერა-კითხვის საზოგადოებას.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოება**. 28 ოქტომბრისთვის დანიშნული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრთა მორიგი კრება, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შედგა.

✦ **საათსაზოვის დაჭრის საქმე**. 3 ნოემბერს ტფ. ოლქის სასამართლოში გაირჩევა საატსაზოვის დაჭრის საქმე, რომელმაც თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სამართალში, სხვათა შორის, მიცემულია საატსაზოვის მეუღლე.

✦ **სამართალში მიცემა**. ქართულ გაზეთის „საქმე“-ს ყოფილი რედაქტორი გ. ყორანაშვილი სამართალში მისცეს სისხლის სამართლის მე-128 მუხლის ძალით.

✦ **ფრენა**. ტფ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ ავიატორები სადგომ სახლებზე არ გადაფრინდნენ ხოლმე, რათა რაიმე უბედურება არ მოჰხდეს.

✦ **იარაღის აღმოჩენა**. პოლიციამ ცნობა მიიღო, რომ მუშტაიდის შესახვევში მცხოვრებნი თავ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე აბაშიძე და დავით ალმასხანის ძე ქეიშვილი სახლში ნება დაურთველად იარაღს ინახავენო. პოლიციამ მათი ბინა გაჩხრიკა და ერთი რევოლვერი იპოვნა. აბაშიძე და ქეიშვილი დააპატიმრეს.

✦ **სასმელი წყალი საბურთალოზე**. საბურთალოზე ახლად დასახლებულ მცხოვრებთა მიერ ამორჩეულ კომისიის ხვეწნა-მუდარამ სასმელი წყლის შესახებ, რომელნიც დიდ გაჭირებაში არიან ამ მხრივ, როგორც იყო მიიქცია ტფ. ქალაქის გამგეობის ყურადღება, რომელსაც უკვე შეუდგა მილების დაწყობას. რითაც დიდს სამსახურს უწევს ღარიბ-ღატაკ მცხოვრებლებს.

✦ 28 ოქტომბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრა 10 უპასპორტო.

✦ 28 ოქტომბერს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა ტატიანა გასილის ასული ბოგდანოვიჩისა.

# ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან

**პეტერბურგი.**

„ქართველ-თა“ კრება. როგორც მოგეხსენებათ, ხამი კაცი უცხო ქალაქში ყველაფერს ეტანება, ბევრ რამის გაგება უნდა და ხშირად იმნაირ ადგილშიაც-კი შეჰყოფს ხოლმე თავსა, სადაც მისთვის ბინა არაა.

სწორედ ასე დამემართა მეც!

პირველადა ვარ ამ ბრწყინვალე ქალაქში, რომლისკენაც იცქირება რამოდენიმე მილიონი თვალი, რათა დაინახოს შემოშუქებული სინათლე ამ „ევროპისაკენ გაჭრილ ფანჯარაში“, რომელიც, სამწუხაროდ, მეტის სიცივისაგან უკვე ვაყინულია და, როგორც ამნაირი, რასაკვირველია, სინათლეს ჩრდილით ჰმოსავს ხოლმე...

ვამბობ, პირველადა ვარ ამ სატახტო ქალაქში, რომელიც ცდილობს უკულტურო უცხო ერთა გაკულტურებას, რისთვისაც ეს ყოვლად მოწყალე ნაცია არ ჰხოგავს თავის პირმშო შვილთაც კი და ასახლებს „ველურებში“, როგორც „კულტურ-ტრეგერებს“, რომელთა მიილვაწეობაც გამოიხატება „ვენახების აჭრაში“! .

დიაღ, ამნაირ ქალაქში საინტერესო ბევრია და მეც ვსარგებლობ ბედნიერ შემთხვევით და ვცდილობ დავინახო....

გავიგე, 15 ოქტომბერს ქართველების კრებააო.

გამიხარდა!

ვსთქვი, იქ ქართულს მაინც გავიგონებ თქო და გავსწიე..

დიდი დარბაზი. ბლომად დამსწრენი. ისმის აურ-ზაური, სხვა და სხვა ენათა ღომხალივით არევა!

მეგონა გოდოლის შენება, მაგრამ ჩემი თანამგზავრი მშველის და მარწმუნებს, „ქართველების კრებაა“-ო.

ჯადაჭარბებულმა რუსულის ენით ლაპარაკმა კიდევ შემაეჭვა დამსწრეთა ქართველობაში.

კიდევ მარწმუნებენ: „ქართველებია“-ო.

ვიფიქრე, უთუოდ მეტად მაღალ მატერიებზე ბაასობენ, რომლის გადმოცემაც ქართულად არ შეიძლება-თქო და მოველოდი იმ წუთს, როდესაც დაბლა ჩამოფრინდებოდნენ და მოვისმენდი ყველასაგან მივიწყებულ ქართულს, მაგრამ... ამაოდ!

აგერ-ეგერ, კანტი-კუნტად თუ გავიგონებდი ჩვენს ენას!..

ვსთქვი, აქ მეტი ბარგი ვარ-თქო, ვუსურვე ჩემ თანამემამულეთ გამარჯვება და შევუდექი ჩემს გზას; მაგრამ ერთი საკითხი ჯერაც ვერ გამირკვევია:

„**როგორ შემიძლიან ხალხს ვემსახურო** (და ეს ხომ ყველა წევრის სურვილია!), **თუ ეს ხალხი ჩემსას ვერას გაიგებს?**“.

ვისწავლოთ, ყმაწვილებო, სამშობლო ენა, **შევიმოსოთ** მისის ცოდნით, თორემ... წინააღმდეგ შემთხვევაში ამ „ევროპის ფანჯარასთან“ ახლო ყოფნა ისე გაგვყინავს, რომ სამშობლოსათვის ვეღარ გამოვდგებით.

**დროებით პეტერბურგელი.**

—

მოგეხსენებათ, რომ პეტერბურგის ფსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტი ერთ-ერთ თავის მთავარ მიზნად ისახავს ყოველ-მხრივ განათლებულ, ნამდვილ მეცნიერულის ცოდნით და მტკიცე, შეურყეველის რწმენით აღჭურვილ პედაგოგ-მასწავლებელთა მომზადებას.

ფსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტი ამ თავითვე შეუდგა სწავლა-აღზდის ძირითად პრინციპების შემუშავებას და ამ პრინციპებზედ პედაგოგიკის დამკვიდრებას ბავშვის სრულ და ყოველმხრივ განვითარების პირობათა შესწავლით,

ამავე მიზანმა მოიზიდა ამ, ჯერ კიდევ ნორჩ, დაწესებულებაში ქართველი ახალგაზდობაც, რომელსაც ჰსურს ხელი შეუწყოს და შეძლების და გვარად ემსახუროს მოზარდი თაობის სწავლა-აღზდის საქმის საღ პირობებში ჩაყენებას.

დასახულ მიზნის მიაღწევ ერთ ერთ საშუალებად ქართველმა სტუდენტობამ მიიჩნია ფსიხო ნევროლოგიურ ინსტიტუტში ქართულ წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსება, სადაც თავ-მოყრილი იქნება ქართულ ენაზე არსებული ყველა მეცნიერული წიგნი და სახელმძღვანელოები, მხატვრული ნაწარმოებნი და ჟურნალ-გაზეთები.

ეს კეთილი განზრახულება აბედვინებს ქართულ საბიბლიოთეკო კომისიას, მიჰმართოს მოწოდებით ხალხის ნამდვილ გულშემატკვართ, გაუწიონ დახმარება ამ მეტის-მეტ საჭირო და სიმპატიურ დაწყებულებას მის კეთილად დაგვირგვინებაში წიგნებისა, ჟურნალ-გაზეთებისა თუ ფულის შემოწირულებით.

შემოწირულება მიიღება ამ მისამართით: Петербургъ. Психо-Неврологическій институтъ. Грузинской Библіотечной Комиссіи.

კომისიის თავმჯდომარე: **ანთ. ებანოიძე.**

მდივანი: **ლევან ბაქრაძე.**

წევრები: ( **ნინო ავალიშვილი.**
( **გ. ჭუმბურიძე.**
( **ეკკე ტყემალაძე.**

---

მის მინერალური წყალი: შუშით დაფარულ კარგა მოზრდილ აუზებში მაჯის სიმსხოდ სცემს ეს წყალი, სდუღს, ისვრის წინწკლებს და შემდეგ მიწის ქვეშ მილებში გადის. ადგილობრივ ეს წყალი დასალევად არ ვარგა, რადგან მისი სითბო 27—28%-მდისადის. საკვირველი თვისება ამ წყლისა დიდი ხანი ცნობილია ექიმათვის: იგი მეტ წილად მარგებელია კუჭის ყოველგვარ ავადმყოფობისათვის და ხელს უწყობს კუჭის ფუნქციების ნორმალურ მსვლელობას; მარგებელია აგრეთვე სისხლ-ნაკლებ ადამიანთათვის, რადგან შიგ, სხვა მინერალთა შორის, რკინაც ურევია. აქვე მის გვერდით არის ქარხანა, სადაც ამ წყალს ხელოვნურად სწმენდენ, ბოთლებში ასხამენ და გასაგზავნად ამზადებენ: ყოველ დღე რამდენიმე ათასი ბოთლი იგზავნება რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში, აგრეთვე საზღვარ გარეთაც. ბოთლებში დასამზადებლად ამ წყლისათვის, არსებობს საკუთარი შუშის ქარხანა, რომელიც ყოველდღიურ მოთხოვნილების საჭიროებისამებრ ამზადებს ბოთლებს. ადგილობრივ, ქარხანაში გაწმენდილი ბორჯომის წყალი ფასობს 15 კაპ. მაშინ, როდესაც რუსეთის ქალაქებში 30—35 კაპ.

გასცდებით ამ მეტად საყურადღებო ადგილს და შეხვალთ ნაძვ-ფიჭვნარით დაბურულ მშვენიერ ვიწრო ხეივანში, რომელსაც ორივ მხარეს ამართული აქვს მაღალი, სწორი მთები, ზოგან ტიტველა, სიპი, კლდოვანი, ზოგან ახალგაზდა ტყით დაფარული. მშვენიერი სანახავია ეს ხეივანი მაშინ, როცა, საღამოს ბინდბუნდში გახვეულს მას მაღლა, ცის სივრციდან მედიდურად დასცქერის მთვარე და თავის ფერ-მკრთალ, საიდუმლო სინათლეს ხევს შიგარის ოდნავ აფრქვევს მის განიერ ბილიკებს. მედიდურია იგი, როცა ღამის წყვდიადით მოცული იგი შავს უფსკრულს ემსგავსება, როცა მაღლა ცის ნაფლეთის ლურჯ სივრცეზე მოსჩანს მოციმციმე კრება ვასკვლავებისა, როცა ირგვლივ ყოველივე მოუცავს რაღაც გამოურკვეველ დუმილს, რომელსაც ოდნავ არღვევს მახლობელ ხევის ნაზი ჩხრიალი, ნანასავით ტკბილი, ნაღვლიანი. ამ წუთს გაშტერებული სდგეხარ ამ ბუნების რომელსამე მყუდრო ადგილს, შესცქერი მაღლა ცის ღრმა სივრცეს და გგონია, თითქოს ჩავარდნილი ხარ ამ ორ კლდეთ შუა უკუნეთით მოცულ უფსკრულში; გულის სიღრმეში ჰგრძნობ რაღაც გამოურკვეველ შიშს, რომელიც მით უფრო ტკბილი და საამურია, რამდენადაც იგი ძლიერი და საგრძნობელია. ეს ხეივანია ბორჯომელ მოაგარაკეთათვის გრძნობათა სალარო, ახალგაზდა მიჯნურთ სავანე, დამაშვრალ ინტელიგენტთა სოაცნებო—და უზრუნველ-ყოფილ ბედნიერთა განსასვენებელი ალაგია.

მშვენიერი სანახავია აგრეთვე ამ ხეივნის ბოლოს, მარცხენა მხარეს, კლდის ნაპრალიდან გადმოხეთქილი ჩანჩქერი, რომელიც რამდენიმე საჟენის სიმაღლიდან ღრიალით გადმოჰქუხს და ქაფ-მორეული უერთდება ჩქარსა და ჩხრიალა ხევს. რაც უნდა გრძნობას მოკლებული და ესთეტიურ მშვენების დაფასებაში უხამსი იყოს ადამიანი, მაინც აღფრთოვანებული დაუწყებს მზერას და უსაზღვრო სიამოვნებას იგრძნობს, როდესაც შეხედავს, როგორ მძლავრად და სისწრაფით ეხეთქება წყალი კლდეს, როგორ სჩქეფს და ქაფად ქცეული სტყორცნის ჰაერში უამრავ წინწკლებს, რომელნიც მზის სხივებში მრავალ ფერად იხლართებიან.

ეს არის ბუნების მხრივ უფრო თვალ-მისაზიდი და საინტერესო ალაგი მთელს ბორჯომში.

არსებობს ბორჯომში ქართვ. შორის. წერა-კითხვ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილება, რომელიც ამ ორის წლის წინედ დაარსდა.

აქვთ ბორჯომელებს საკუთარი კლუბი, საზამთრო თვეების მოწყენილობის დროს თავ-შესაფარ—გასართობი. სხვათა შორის კლუბს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც მსურველი ვერ მოსძებნის ვერც ერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთს და პერიოდულ გამოცემათ.

არსებს ბორჯომში დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის (აწ ნიკოლოზ მიხეილის ძის) მამულების კანტორა, რომელიც ჰმართავს ამ მამულების ყოველგვარ საქმეებს.

სხვა დაწესებულებათაგან ჩვენს ყურადღებას არაფერი იპყრობს.

ნ. ბაკურიანის რკინის გზის შტოს აუღლებით მდებარე საგარაკო სოფლები. ბორჯომიდან პატარა, ვიწრო ლიანდაგიანი მატარებელი („კუკუშკა“—„გუგული“) შეგიყვანებთ აღმართს, რომელიც მიდის ბაკურიანისაკენ. შეუძლებელია აღწერა იმ სიამოვნებისა, რომელსაც ადამიანი ჰგრძნობს ამ მეტად საინტერესო გზის დათვალიერებით. ქშენით და ხრიკინით მიგოგავს პატარა მატარებელი ამ უშველებელ აღმართზე და ყოველ წუთს თითქოს ლამობს შეჩერდეს, რომ დაისვენოს, სული მოითქვას და ძალა მოიკრიფოს. ამ გზის ერთ მხარეს ამართულია მაღალი, დაბურული ტყით შეფენილი მთა, მეორე მხრით, იქვე გზის გვერდით, იწყება თვალთ-უწვდენელი ხევი: ამათ შუა ნელა მიგოგავს მატარებელი. გაიხედავ მარჯვნივ, თვალ-წინ აგემართება მთა, რომლის ფერდოებზე მრავლად სჩქეფს მთის ცელქი ნაკადულები, მარცხნივ გადიხედავ ხევში და გული გიჩქროლავს, შიში გიპყრობს, რომ მატარებელი მთელის თავის სიმძიმით არ გადაეშვას და არ შთაინთქას უფსკრულში. ამგვარად მიატანა სადგ. დაბას. აქედან აღმართი უფრო შესამჩნევია, მიდამოები უფრო მხატვრული და მომხიბვლელია, ჰაერი უფრო მჩატე და ნაძვ-ფიჭვნარის სულით გაჟღენთილია. აი, მიუახლოვდები პირველ საგარაკო სოფელ წაღვერს. იგი შედარებით მოზრდილია, გაშენებულია ვაკე ადგილს ტყეებ შორის. ადგილობრივ მცხოვრებთ ქართველები შეადგენენ. მოაგარაკეთა რიცხვი აქ ყოველ წელს მატულობს. შედარებით ბორჯომთან აგარაკებიც გაცილებით უფრო იაფ ფასებში ქირავდება. აქ, ყველაზე მეტად თქვენ ყურადღებას იპყრობს რკინის წყალი: ვიწრო კლდოვანი ბილიკი შეგიყვანთ დაბურულს ტყეში, სადაც შუა ზაფხულის ცხელ დღეებშიაც კი, მუდამ შესამჩნევი სიგრილე და სუფთა ჰაერია. ეს ბილიკი მიგიყვანთ ქვის პატარა აუზთან, რომლის უკანა კედელში გაკეთებულ რკინის წვრილ ლულიდან, საამოდ გადმოჩხრიალებს მთის ცივი, ანკარა წყარო. ეს არის რკინის წყალი, რომელიც, ექიმთა სიტყვით, დიდ შეღავათს აძლევს სისხლ-ნაკლებ ავადმყოფებს. ბუნებრივი გაზი და სხვა-და სხვა მინერალური თვისებანი ამ წყლისა ისე არიან შეზავებულნი ერთმანეთში, რომ ადამიანი სიამოვნებით სვამს და ხშირად ხელოვნურად დამზადებულ წყლებს ამჯობინებს. ამ ბოლოს დროს ეს წყალი ბაზარზედაც გააქვთ გასასაღებლად.

სად. წაღვერიდან მატარებელი კვლავ აღმართს შეუდგება. მაღალ მთის ფერდოებზე იგი გველივით იკლაკნება: ხან გარშემო უხვევს პატარა გორაკებს, ხან დაეშვება დაღმართზე, ხან ქშენით ისევ აღმართზე მიბობღავს, ხან გაძვრება ვიწრო ხევნარში, ხან წყლის რხევით გაივლის გათლილ ქვასავით სიპ-კლდეებთ შუა და მალე, ბევრი ვაი-ვაგლახისა, ქშენისა და ტანჯვის შემდეგ, გავა ვაკესა და სწორე ადგილს. აქ გაშენებულია საგარაკო სოფელი ცემი. მდებარეობით იგი უფრო უკეთესს პირობებშია, ვიდრე წაღვერი. ჰაერი მუდამ სუფთა, მსუბუქია, მიდამოები ტყითა და პატარა ველ-მინდვრებით დაფენილი: მრავალი ჰლექიანი ავადმყოფი აწყდება ზაფხულობით ამ სოფელს და სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ ბევრი მათგანი, თუ სულ არა, შესამჩნევად მაინც გამოკეთებას ატყობს ხოლმე თავის თავს, მეტადრე თუ ეს სენი ახალია და ავადმყოფს ძვალსა და რბილში არ აქვს გამჯდარი. აქვე არსებობს რკინის გზის საავადმყოფო სანატორიუმი, რომელიც მუდამ ზაფხულს გაჭედილია ტუბერკულოზიან ავადმყოფებით. ადგილობრივ მცხოვრებთ სულ ქართველები შეადგენენ.

აქედან მატარებელი ავა სად. ნიკოლაევაში, რომელიც მთელ ხეობას გადასცქერის. მშვენიერი გადასახედავია; მსწრაფლ ხიბლავს იგი ადამიანის თვალს- რუსებმა ამ ადგილს „სახიბლავი კარი“ Ворота очарованія დაარქვეს.

აი გასცდებით ამ სადგურს და რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი გაგაჩერებთ შუა ტყეში, ხის რამდენიმე კოხტა შენობის წინ; ერთ მათგანის სახურავზე თქვენ წაიკითხავთ ფრანგულ წარწერას: „სანატორიუმი ექიმის ლამბაშიძისა“. ეს არის პატარა ცემი.

6. ექიმ ვახტანგ ლამბაშიძის სანატორიუმი. დიდი ხანი ჰფიქრობდა ექ. ლამბაშიძე დაეარსებინა ჩვენში საზღვარ-გარეთულ ტიპის საბავშვო სანატორიუმი, დიდი ხანი ვანუშორებლად ატარებდა იგი ამ აზრს, მაგრამ ათას გვარ დაბრკოლებათა მიზეზით ეს აზრი 1904 წლამდის განუხორციელებელი რჩებოდა. ამ წელს კი ბორჯომის ხეობაში თრიალეთის მთების ერთ-მაღლობ და ნაძვ-ფიჭვნარით შემოსილ კალთაზე მან პირველად დაჰკრა მარი და მთელი თავის არსებით შეუდგა ამ მეტად სასარგებლო და კულტურულ საქმის განხორციელებას. მაგრამ აქაც გადაეღობა მას ათასგვარი დაბრკოლება. როგორც მთელი ბორჯომის ხეობა, ისე ის ალაგი, სადაც გაშენებულია „პატარა ცემი“, ეკუთვნის დიდ მთავარს, ნიკოლოოზ მიხეილის ძეს, რომლის მოურავმა გეცმა ამ მამულის მფლობელის თანხმობით ნება მისცა ექიმს ლამბაშიძეს გაეშენებინა საზაფხულო სადგომი.

ყოველწლიური ხარჯთ აღრიცხვა სანატორიუმისა გვიჩვენებს, რომ გ. ლამბაშიძეს ეს დაწესებულება არამც თუ რაიმე სარგებლობას აძლევს, არამედ მას, ყოველ სეზონის დასასრულს თავის საკუთარ ჯიბიდან უხდება დეფიციტის შესწორება-შევსება.

ამ დაწესებულების სარგებლობაზე ლაპარაკი მეტად მიმაჩნია; ყველამ უწყის რამდენი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს სუსტ ადამიანს მთის მშვენიერმა ჰაერმა, გადაჭარბებულმა საზრდოობამ (დღეში

# მოწერილი ამბები

**ხაშური.** 24 ღვინობისთვეს დავესწარი ხაშურში ხუთის საზოგადო კრებას, რომელმაც დიდად გაახარა ყველა დამწრენი. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ კრების დაწყებას, ხელში ეჭირათ პატარა წიგნაკი და ცნობის მოყვარეობით ჰკითხულობდნენ.—ეს გახლდათ ახლად დამტკიცებული წეს-დება აქაურის საზოგადოებისა, რომელსაც მიზნად აქვს, გახსნას ხაშურში ჯერ ჯერობით ვაჟთა გიმნაზია, შემდეგ, შ[illegible] საშუალება ექმნა,—ქალთა გიმნაზიაც.

ეს სასიამოვნო საქმე ასე დაწყებულა: საზოგადოებას შარშან,—მინამ მთავრობა წესდებას დაამტკიცებდა, მიუნდვია ქ-ნ მატბერაშვილისათვის, აეღო უფლება და გახსნა სკოლა მეორე ხარისხისა. ამ მანდილოსანს, მართლაც, აუღია ნება და წარსულ წელს გაუმართავს სკოლა საზოგადოების ხარჯით. სწავლის მსურველნი ისე ბევრნი აღმოჩენილან, რომ ერთბამად შემდგარა ორი მოსამზადებელი და სამი პროგიმნაზიული კლასი, რომელსაც წელს მეოთხეც მოუმატა.

მაგრამ, რაკი ეხლა მთავრობისაგან დამტკიცებული წეს-დება მიუღიათ, 24 ღვინობისთვეს, როგორც მოგახსენეთ, შეიკრიბა ხალხი, რათა გაეცნო დამტკიცებული წესდება და ოფიციალად გამოეცხადებინა საზოგადოების არსებობა. წარმოიდგინეთ, ყველანი, ვინცკი კრებას დაესწრო, ერთმანეთს ეცილებოდნენ მოეწერათ ხელი წევრთა სიაზე და საწევრო ფულითან შეჰქონდათ.

გარდა ამისა, წესდების ძალით, ყველა მოსამსახურე რკინის გზისა, სადგურ მიხაილოვოში, ვალდებულია შეიტანოს სასწავლებლის სასარგებლოდ ერთი % წლიურის ჯამაგირის. წევრების ხაწერის შემდეგ აღძრეს კითხვა იმის შესახებ, რომ ეხლანდელი სკოლა ნამდვილ პროგიმნაზიად გადაიქცეს და თხოვოს სათანადო მთავრობას მიანიჭოს მას მთავრობის პროგიმნაზიების უფლებანი.

ამას გარდა კრებაზე გავიგეთ კიდევ ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი.

როგორც ზაფხულში მოგწერეთ, კერძო პროგიმნაზიული კლასები აქვს აგრეთვე სურამის საზოგადოებას. ეხლა სურამელებმა, რომელნიც მოხსენებულ კრებას დაესწრნენ, განაცხადეს სურვილი შეუერთდნენ ხაშურის საზოგადოებას და ერთი კარგი საშუალო სასწავლებელი გამართონ. ხაშურელები, რასაკვირველია, დიდის სიხარულით მიეგებნენ ასეთ წინადადებას. რაკი ეს ორი საზოგადოება შეერთდება, მაშინ, ცხადია, მოსწავლეთა რიცხვი ბევრად უფრო დიდი იქნება და სასწავლებლის შესანახი სახსარიც უფრო დიდი ექნებათ.

დასასრულ კრებამ დაადგინა, ეხლავე შეუდგეს სკოლის სამზრუნველო კომიტეტი, გამოსძებნოს საშუალება და ახლო მომავალში საკუთარი შენობა აგოს მომავალის გიმნაზიისათვის.

შემდეგი კრება საზოგადოებისა დანიშნულია 7 გიორგობის თვეს. ამ კრებამ უნდა აირჩიოს პროგიმნაზიის ახალი სამზრუნველო კომიტეტი.

მაშ, მიულოცოთ ხაშურელებსა და სურამელებს განათლების ახალ ტაძრის დაარსება, და სასწავლებელსაც დღეგრძელობა და წარმატება ვუსურვოთ.

გ. ითხელიანი.

—

**ქვემო იმერეთი.** სიმინდის ტეხვის დროს ქვემო იმერეთში ეძახიან ფუსტლობას, ეს ის დროა, როდესაც გლეხს თავისი წლის სარჩო ოჯახში შემოაქვს. ფუსტლობა, ნაწილს გლეხკაცობისას ამხიარულებს, ნაწილს კი, ამწუხრებს. ამხიარულებს იმათ, ვისაც ბევრი სიმინდი მოუვიდა. მწუხარებით-კი იმათ იპყრობს, ვისაც ბედმა უდალატა და მოსავლისაგან მშრალზე დასვა. ფუსტლობის დროს ადამიანს ქუჩაში მოხეტიალეს ვერ დაინახავ, ყველა მუშაობაში არის გართული და ჭალაში წასული ზოგი მუშაობს თავის ყანაში და ზოგიც სხვას ეხმარება. ამ დროს ქუჩებშიაც არის ჩვეულებრივი მოძრაობაა. ცარიელ თუ სავსე ურმებს ადამიანი გვერდს ვერ აუარ. სიმინდით დატვირთულ ურმების ხმაურობა ყურთა-სმენას გარომევს. ფუსტლობა ბაზარსაც ეტყობა, ბაზარში ხალხი ნაკლებაა ამ დროს. გახვალ ყანაში და სასიამოვნო სურათი გეშლება თვალწინ: ტეხენ სიმინდს, იცინიან, იმღერიან, მხიარულობენ და ყველას რადაც სათოვნების ღიმი გამოუკრთის პირიდან. თუ ბაზარში ამ დროს ხალხის მოძრაობა არ არის, სამაგიეროდ ყანაში, გზებზე ხალხის ხშირი მიმოსვლა. ხალხის მოძრაობა ნამეტურ საღამოობითაა, როდესაც ხალხი სახლში მიემგზავრება. ადამიანი, საზოგადოდ, მუშაობის შემდეგ დაღალულია, დაქანცულია და დაღონებული, მაგრამ ეს დაღლილობა და დაღონება არ ეტყობა იმ ხალხს, რომელიც ფუსტლობის დროს ყანაში მუშაობის შემდეგ სახლში ბრუნდება დაღამებისას. არამც თუ დაღლილობა, დაღონება და დაქანცულობა არ ეტყობა ამ დროს ხალხს, არამედ მხიარული ხუმრობით, სიცილ-კისკისით მოდის სახლში. ბევრი ღამეს ყანაში ათევს. ურმებით კი როგორც დღისით, ისე ღამითაც მუშაობს ხალხი და ურმების ხმაურობა როგორც დღისით ისე ღამითაც ესმის. წელს ბუნებამაც თანაუგრძნო ხალხს და ღამეც სწორედ შესაფერისი მისცა —მთვარისაგან გაბრწყინებული და დღესავით განათებული.

ივერი.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, ქართულს თეატრში ილია ჭავჭავაძის სახელობის საღამო გაიმართა. საღამოს პროგრამა ძალიან შინაარსიანი გამოდგა. უპირველეს ყოვლისა, ილიას სურათის წინ ბ-ნმა კიტა აბაშიძემ მომენტის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. სურათს გარს ეხვივნენ ილიას თხზულებათა უმთავრესი გმირები. ამის შემდეგ ქ-ნმა ჩირგაძემ და ბ-ნმა შარაშიძემ შეასრულეს ილიას „დედა და შვილი". ეს დრამატიული პოემა სასცენოდ არ არის დაწერილი. მასში ძალიან ბევრი მსჯელობაა, რომელიც პირდაპირ შეუძლებლად ხდის მის სცენაზე დადგმას. მიუხედავად ამისა, ქ-ნმა ჩირგაძემ მაინც მშვენივრად შეასრულა დედის როლი: დაცული იყო ლექსი, თხზულების მთელი იერი, გრძელს მონოლოგებს ქ-ნმა ჩირგაძემ სული ჩაჰბერა და გააცხოველა თავისი ინტონაციით, ხმის მოფიქრებულ ხმარებითა და მიმიკით. ქ-ნმა ჩირგაძემ ნათლად წარმოგვიდგინა დაავადებული, მოსიყვარულე დედა, რომელიც თავის ერთად-ერთი შვილსაც კი სამშობლოს დასახსნელად ჰგზავნის.

სალიტერატურო ნაწილიც შინაარსიანად იყო შედგენილი. კარგი ნაწყვეტი წაიკითხა ბ-ნმა ილ. ზურაბიშვილმა. მან დაახასიათა „ურმული" და თავისი მოსაზრებანი გამოსთქვა მის მნიშვნელობაზე. სიმღერა ძლიერი ფაქტორია ხალხთა ცხოვრების განვითარებისა. სიმღერაში ნათლად გამოიხატება სულის-კვეთება ხალხისა, მისი ბედი, მისი ჭირ-ვარამი და სიხარული. ტანჯულ-გვემულმა საქართველომაც სევდით სავსე „ურმული" გამოიგონა. „ურმული" სურათია ქართველთა მრავალ-ტანჯულ ცხოვრებისა, „ურმული", თუ გნებავთ, მისი სიმბოლოა.

ბ-ნმა ზურაბიშვილმა მშვენიერის ქართულით, ქართულის გამოთქმით, დაგვიხატა „ურმული", რომელიც, თქმა არ უნდა, თვით ილიასაც, როგორც ხალხის გულის გასაოცარს მესაიდუმლეს, ბევრს მწარე ფიქრებსა ჰგვრიდა.

ბ-ნმა სვ. ყიფიანმა თავის პატარა მოთხრობაში დაგვიხატა საუბარი ირმისა და ხარისა. შრომისაგან გაძვალტყავებული ხარი ირემს შეხვდება. ირემს უკვირს ხარის დაბეჩავება; ურჩევს მთაში წავიდეს, მაგრამ მონობას ჩვეული ხარი ვერა ჰბედავს ამას და ისევ თავის დამჩაგვრელთან—ადამიანთან—დაბრუნდება. მოთხრობის ბოლოს ცოტა მქადაგებლობითი ხასიათი აქვს, მაგრამ იგი მაინც მხატვრულ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მოქალაქობრივი მოტივები ცოტად თუ ბევრად მხატვრულ ფარგლებში მაინცაა ჩამოსხმული. აქ ხარისა და ირმის ბაასი მაინც ჰქმნის მხატვრულ სურათს, და მოქალაქობრივი მოტივები გალექსილ პუბლიცისტიკად არ არის გადაქცეული!

მოხდენილად წაიკითხა თავისი ლექსი „ბორკილი" ბ-ნმა კ. მაყაშვილმა. ლექსის ბოლოს ხორომ დაასრულა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ"-ის სიმღერით; თუმცა, უნდა მოგახსენოთ, ასეთი ხოროს სცენაზე გამოყვანა სწორედ სირცხვილი იყო. ქართველმა საზოგადოებამ უკვე განვლო ის ხანა, როდესაც სახელდახელოდ შედგენილი ხორო აკმაყოფილებდა. ქართულს მუსიკაზე ბევრის თქმა არ შეგვიძლიან, მაგრამ ის მაინც წინ წავიდა; საზოგადოების გემოვნება და მოთხოვნილებაც გაიზარდა. ამიტომ ისეთის მოუმზადებელ ხოროს გამოყვანა სცენაზე უეჭველად დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ძალიან კარგად ცოცხალი სურათები დასდგა ბ-ნმა ი. ნიკოლაძემ. განსაკუთრებით კარგი იყო უკანასკნელი სურათი, რომელსაც ილიას თხზულებათა მოქმედნი პირნი ილიას თხზულებათ კითხულობდნენ.

ხალხი საღამოს ბევრი დაესწრო; თეატრი სავსე იყო.

—

ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა ზუდერმანის ცნობილი პიესა „მშობლიურ ჭერ-ქვეშ", პიესა ერთხელ და ორჯელ არ დაუდგამთ ქართულს სცენაზე, და ამიტომ საზოგადოება მას ძალიან კარგად იცნობს. მაგდას როლი ქ-ნმა ჩხეიძემ ჩვეულებრივის ტემპერამენტით ჩაატარა. განსაკუთრებით კარგი იყო უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც იგი თავის შვილზე ლაპარაკობს. კარგი იყო შვარცის როლში ბ-ნი ვ. გუნია. ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ სიამოვნებით, რომ ანსამბლი მშვენიერი იყო. სცენის მოწყობილება, მდიდარი რეკვიზიტი, ხელოვნური გრიმები,—ყველა ეს ძალიან უწყობს ხელს წარმოდგენის მწყობრს მსვლელობას...

ხალხი ცოტა დაესწრო. Homo.

# რუსეთი

**გენერალ ტოლმაჩევის მეგობარი.** ოდესის შავრაზმელთა და „პროგრომების" მომწყობთა მეთაური „რეჩ"-ის სიტყვით, არის გლობაჩევი, რომელიც ახლო მეგობარია მხოლოდ ტოლმაჩევისა. ოდესაში გლობაჩევი სცემს გაზეთს „იუჟნი ბოგატირ"-ს. გაზეთის მე № 16-ში, მრავალ „საპოგრომო" წერილს გარდა დაბეჭდილია შემდეგი: „შავის რაზმის საყურადღებოდ, 9 ოქტომბერს ურია შაია ხაიმის ძე შპოლიანსკი (ფერისცვალების ქუჩა, № 39) პორტამტის ზემო დარბაზში იყო და ქუდის მოხდა არ მოისურვა, თუმცა მას ხელმწიფე იმპერატორის სურათიც უჩვენეს. ამ ამაღელვებელ თავხედობისთვის შპოლიანსკი გალახულ იქმნა. კბილის ექიმი, ურიის ქალი როზალია ეფიმეს ასული ლიპეცისა (ჟუკოვსკის ქუჩა, № 40) შპოლიანსკის გალახვის დროს მოვარდა საიდღანღაც და განაცხადა, რომ „ქუდის მოხდა სრულიადაც არ არის საჭირო ხელმწიფის სურათის წინაო". თავხედი ურიის ქალი ვერ იქმნა გალახული, რადგან გარემოება ცუდად მოეწყო. კავშირის წევრებს წინადადებას ვაძლევთ, კარგად დაიხსომონ გვარები და ადრესები ამ პირებისა". შემდეგ ურცხვი რედაქტორი ასწერს, თუ სად რა უწესოება ჩაუდენიათ მის მეგობრებს. სხვათა შორის უკანსკნელი აქებს იმის გამო, რომ ბევრი მაღაზიის შუშები, სადაც მურომცევის სურათები ყოფილა გამოკიდებული, ჩაუმტვრევიათ და ბევრგან მაგრად უცემიათ მურომცევის ხსოვნის პატივისცემელთათვის.

კომენტარები მეტია!

**სასამართლოში.**

პეტერბურგის სასამართლო პალატამ გაარჩია პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ეკონომის უსპენსკის საქმე, რომელსაც ფულის გაფლანგვა ბრალდებოდა. საქმიდან, სხვათაშორის, გამოირკვა, რომ ალექსანდრე ნეველის ლავრაში ხშირად იმართება დიდი თამაშობა ბანქოსი, რომალშიაც მონაწილეობას იღებენ ქალები და მრავალი საეჭვო პირი. უსპენსკის სასამართლომ 16 თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა,

—

6 იჯრა) და დღე-მუდამ გამოცდილ ექიმის თვალ-ყურის ქვეშ ყოფნამ. მოვიყვან მხოლოდ ერთს მაგალითს, რომელსაც თვით მე შემთხვევა მქონდა შევსწრებოდი; ერთს ახალგაზდა ქალს, რომელსაც ორჯელ ზედიზედ ფილტვების ანთება გადაეტანა, სანატორიუმში ერთი თვის ყოფნამ 25 გირვანქა წონა მოუმატა. ამგვარი მაგალითები კი ხშირია.

გაზეთებში უკვე იყო მოხსენებული, ამ რამდენიმე ხნის წინად. ექ. ლამბაშიძის სანატორიუმი დაათვალიერა სენატორ ვატაცის ცოლმა, რომელმაც გაზ. „Тифл. лист."-ის ერთ-ერთ ნომერში, მოათავსა მოკლე წერილი, სადაც იგი უზიარებდა მკითხველებს თავის შთაბეჭდილებას. სხვათა შორის, ქ-ნი ვატაცი წინადადებას აძლევდა სხვა და სხვა დაწესებულებებს, როგორც მაგ. კავკასიის ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას, დაეხმარნენ ექ. ლამბაშიძეს ამ ფრიად სასარგებლო საქმეში. ქ-ნ ვატაცის აღუთქვამს ექიმისათვის აგრეთვე პირადი დახმარება. თუ ეს ასე იქმნა, შესაძლებელია სანატორიუმის საქმე უფრო კარგად წავიდეს და შეივსოს ის ნაკლი, რომელიც მას შეუძლებლობისა გამო დასავლეთ ევროპის ამგვარ ტიპის სანატორიუმებთან შედარებით, ჯერ-ჯერობით ბევრი აქვს.

7. **ბორჯომის ხეობის ბატონ-პატრონები.** გლეხების მდგომარეობა და სწავლა-აღზრდის საქმე ბორჯომის ხეობაში. მთელი ბორჯომის ხეობა, სივრცით დაახლოვებით 700,000 ოთხ-კუთხი საჟენი, წარსულ წლის ნახევრამდის ეკუთვნოდა დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს. მის სიკვდილის შემდეგ კი, დატოვებულ ანდერძის მიხედვით, მთელი მისი მამულები დაიყვეს მისმა მემკვიდრეებმა, ბორჯომის ხეობა წილად ჰხვდა მის შვილს ნიკოლოზ მიხეილის ძეს. როგორც ძველის, ისე ახალ მფლობელის დროს, ამ უზარმაზარ მამულს განაგებს კარგა მოზრდილი შტატი მოხელეთა საკუთარ მმართველ კანტორით და უმაღლესად დანიშნულ მოურავით. უწინ ეს მამული ეკუთვნოდათ ჩვენ თანამემამულეთ. თავ. თაქთაქიშვილებს და ავალიშვილებს.

მაგრამ ზოგი დროთა ბრუნვისა, ზოგიც თვით მათ ხელ-გაშლილობისა და პურადობის მიზეზით, იგი ხელიდან გამოეცალათ.

1854 წლიდან ე. ი. იმ დროიდან, როცა ეს მამული დიდის მთავრის საკუთრებად შეიქმნა, მთელი ბორჯომის ხეობა განიყოფებოდა ოთხ ნაწილად. ამათში შედიოდა ბორჯომისა, ნეძვისა (იგივე ახალ-დაბისა) წაღვერისა და ბაკურიანის ხაწილები. ამ წელს კი გამოიყო მეხუთე ნაწილი—თორისა. ყოველს ამ ნაწილს ჰყავს თავისი გამგე, რომლის ხელშიაც ტრიალებს მთელი ბედ-იღბალი არა მარტო მის გამგეობის ქვეშ მყოფ ნაწილისა, არამედ ამ ნაწილზე მცხოვრებ გლეხთა. ზევით უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ბორჯომის ხეობაში მცხოვრებ გლეხთათვის საცხოვრებელი სახსარი არის უმეტესს ნაწილად ტყე, რადგან მდებარეობა სოფლებისა ნებას არ აძლევს გლეხს სასოფლო-სამეურნეო შრომას მიჰყოს ხელი. უწინ, როცა ეს ტყე ჯერ თითქმის უღრანი, გაუვალი და ადამიანის მიერ ხელუხლებელი იყო, ყოველ გლეხს (კომლს) ნება ჰქონდა მოეჭრა იმდენი ხე, რამდენიც მას სურდა. ეხლა კი, როცა ზოგი ცეცხლისაგან, ზოგი ჭრისა და მოუვლელობისაგან ეს ტყე გათხელდა, თვითეულ კომლს შეუძლიან მოსჭრას, მთელის წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი ტივის სამყოფი ხე-ტყე.

საქართველოს არც-ერთი კუთხე ისე ჩამორჩენილი, ისე განუვითარებელი არ, არის როგორც ბორჯომის ხეობა. ხშირად შეხვდებით აქ, გლეხ-კაცთა შორის ისეთებს, რომელნიც ღვთის მოსავი და მორწმუნე ადამიანები არიან, მაგრამ არ იციან, ვინ იყო იესო ქრისტე, მარიამი და სხვ. რას აკეთებენ მაშ აქაური სულიერი მამები? ნუ თუ მათ წმინდა მოვალეობას არ შეადგენს ხალხის თუნდ მარტო ამ მხრივ განათლება-განვითარება? ს. გომნაში ამ ერთის წლის წინად ადგილი ჰქონდა ერთ კურიოზულ შემთხვევას, რომელიც ასე თუ ისე ახასიათებს ზოგიერთ სულიერ მამის რელიგიურს მხარეს. ზემოხსენებულ სოფლის მღვდელი ქეიფის დიდი მოყვარული ყოფილა, და როგორც ამგვარი, სიხარულით ეგებებოდა თურმე ყოველს ქორწილს, ქელეხს, ნათლობას. ერთხელ, ერთ მსუქან ქელეხის შემდეგ, ეს პატიოსანი გვამი, კარგად შეზარხოშებული, გამოსულა შუა სოფელში და წინადადება მიუცია ხალხისათვის, დასჭიდებოდა ვინმე. მაგრამ, რადგან ხალხიდან არავის არ განუცხადებია ამის სურვილი, „წმინდა მამას" თავისი ატლეტური ნიჭი კამეჩებზე უსინჯავს. იქვე სოფლის შუა გულში ერთ კარგად მოზრდილ წუმპეში ტბილად იცოხნებოდნენ თურმე კამეჩები. მღვდელს ბევრი აღარ უფიქრია, შემოუკაპიწავებია ანაფორა და ყელთამდის წუმპეში შეცურებულა. გლეხებს რის ვაი-ვაგლახით კამოუთრევიათ თავიდან-ბოლომდის ამოთხუპნულ-ამოსვრილი მღვდელი, მაგრამ, რა დაუნახავთ სოფლის ძაღლებს ეს არა ჩვეულებრივი ცხოველი, დასდევნებიან უკან და მთელი სოფელი შემოურბენინებიათ.

აი, ამგვარი ხელმძღვანელნი და მასწავლებელნი ჰყავნან ბორჯომის ხეობაში მცხოვრებ გლეხებს. და ეს იმ დროს, როცა მთელ ხეობის უამრავ სოფლებს არ მოეპოვებათ არც ერთი სასწავლებელი. როდემდის გაგრძელდება ეს ასე, ალაჰმა უწყის!..

შალვა ტატიშვილი.


## დოქტ. ნავასარდიანის [...]

ყოველ დღე, კვირაობით [...]

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 1/2 ს. შინაგ. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1 1/2—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაკი:** 5—6 ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 1/2 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—213)

**ექიმი** ნიკო ერისთავი ბათომში

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეთოდით, სისხლის და ნახველის მიკროსკოპიული გამოკვლევა. ბათომი ვლადიკავკავის ქ. N 24. (20—171—4)

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „[illegible]" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.




მოითხოვეთ

**სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ,**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი ხაზურავით «ხ ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

ПАРИЖЪ PARIS 7 — S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე. (Моцль N 53647). (34—15—12)

**ქირავდება კარგად მოწყობილი პადვალი**

ქალაქ ტფილისში, სუდებნის ქუჩაზე, მაისურაძის სახლში N 6. **კარგად მოწყობილი, კუხნით, ღვინის სარდაფით,** მხოლოდ ერთი ოთახით. პადვალი სუფთა და დიდია, თავის ავეჯების მეხედვით. მსურველს შეუძლიან პირობების გაგება ამავე სახლში მოვაჭრე სპირიდონ კაპიტაძის მაღაზიაში. (3—168—3)

**სასტუმრო ნომრები ტფილისში**

ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი ძმ. მილოვისა № 1. ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებული ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიდანაც არის.

**ფასი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე; თვიურებს დაეთმობათ.**

პატრონი ნომრებისა ს. მოძღველიძე.

(30—181—1)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ძეგველოვების მაღაზია**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა** ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია ღვინის ორაგული** (სიომგა)

და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—18)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა


რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი.